„ჩინგუტი საქართველოა, სიმღერი ჩვენ ვართ ყველაო“

ყორხეთი

გამოდის 1923 წლის 1 მაისიდან

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

2020 წელი • №-17 (9489) • 1-15 სექტემბერი • ფასი 50 თეთრი

მუნიციპალიტეტის მერიაში

დიმიტრი ჯაიანის სახელის უკვდავსაყოფად...

1 სექტემბერი, სენაკის მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრების ისტორიაში უმნიშვნელოვანესი დღეა

პირველად, ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, სიმბოლურად, თეატრალური ფესტივალის დაწყების წინ, მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის ისტორიულ შენობას, ცნობილი ქართველი მსახიობისა და საზოგადო მოღვაწის, საქართველოსა და აფხაზეთის სახალხო არტისტის, კოტე მარჯანიშვილისა და გიორგი შერვაშიძის პრემიების ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალერის, უკრაინის სახელმწიფო ორდენის კავალერის, სენაკის საპატიო მოქალაქის, უნიჭიერესი ქართველი კაცის, ჩვენი ქვეყნის დიდი პატრიოტის - დიმა (დიმიტრი) ჯაიანის სახელი მიენიჭა.

საზეიმო ცერემონიალი, რომელსაც სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ლევან კუპრეიშვილი, დიმიტრი ჯაიანის ოჯახის წევრები და მეგობრები, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრი, როლანდ ნიჟარაძე, მინისტრის მოადგილეები, ჯაბა ჯაიანი და ირმა კეკელიძე, რეგიონული თეატრების მეექვსე საერთაშორისო ფესტივალის მხატვრული ხელმძღვანელი, მსახიობი ნინელი ჭანკვეტაძე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა მინისტრის პირველი მოადგილე, გურამ მისაბიშვილი, სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, გრიგოლ ბაღათურია, მერის მოადგილე, კახაბერ კუპრეიშვილი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ბადრი კალანდარიშვილი, აფხაზეთის მთავრობის, ადგილობრივი თვითმმართველობის, თეატრალური სფეროს და ხელოვნების წარმომადგენლები ესწრებოდნენ, სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა გახსნა.

მონიტორის ეკრანიდან, ბატონი დიმა თავად გვესაუბრებოდა თავის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, რომელიც, ამასთან, ჩვენი ახლო წარსულის ისტორიულ ქრონიკების გაცოცხლებაც იყო...

გამომსვლელებმა ხაზი გაუსვეს დიდი ხელოვანისა და პიროვნების დამსახურებას ქვეყნის წინაშე და თეატრალური ხელოვნების განვითარების საქმეში.

მემორიალური დაფა დიდი ხელოვანის ვაჟმა და შვილიშვილმა - ჯაბა და გიორგი ჯაიანებმა გახსნეს.

მთელი საქართველოსთვის და განსაკუთრებით, სენაკელთათვის ძვირფასი მოღვაწის სახელს, დღეიდან, ღირსეულად შეისისხლხორცებს მომავალი თაობის თეატრალურ ხელოვნებასთან ზიარების და კულტურის განვითარების სამსახურში მყოფი ეს კერა, რაც, მისი თითოეული წევრისთვის, პროფესიული წინსვლის დიდი სტიმული გახდება.

თოკების პარკი, ზიპლაინი და ღია ბაზრობა გაიხსნა



სენაკის მუნიციპალიტეტის ლეძაძამეს ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ბეთლემში, თოკების პარკი, ზიპლაინი და ღია ბაზრობა საზეიმოდ გაიხსნა.

წლის ბოლომდე ყველა მსურველს ეძლევა შესაძლებლობა, სრულიად უსასყიდლოდ ისიამოვნოს სათავგადასავლო და დასასვენებელი ატრაქციებით - „თოკების პარკით", 130 მეტრი სიგრძის ზიპლაინით. აქვეა ღია ბაზრობა - ადგილობრივი მეწარმეებისთვის პროდუქციის გაყიდვა-პოპულარიზაციის ხელშეწყობისთვის, პარკირება/ავტოკემპინგის ზონა შესაბამისი ინფრასტრუქტურით და ფრინველებზე დაკვირვების პლატფორმა.

გახსნის ღონისძიებას სენაკის მუნიციპალიტეტს მერი ლევან კუპრეიშვილი, პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი, ადგილობრივი თვითმმართველობისა და საზოგადოების წარმომადგენლები დაესწრნენ.

ახალი ტურისტული მიზიდულობის ცენტრი მოეწყო პროექტის ფარგლებში „სენაკის ეკონომიკური განვითარება ტურიზმის ხელშეწყობის გზით", რომლის ღირებულება 80 000 ლარს შეადგენს, განხორციელდა საქართველოს მთავრობის, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) - რეგიონული და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა საქართველოში (FRLD) - ფაზა 2-ის ფარგლებში, საქართველოს მთავრობის, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის (ADC) ფინანსური მხარდაჭერით.

მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილება

ხელოვნების დღესასწაული სენაკში

„თეატრი ადგილია, სადაც ლაპარაკობენ და ქმნიან მთავარს: რისთვის ვართ, როგორები ვართ, როგორები უნდა ვიყოთ? თეატრი იმისთვისაა, რომ ადამიანებს საშუალება ჰქონდეთ, გვერდიდან შეხედონ საკუთარ თავს და გაოცდნენ“.. „თეატრი სასწაულია“

მიხეილ თუმანიშვილი

თეატრალური ტრადიციების განვითარებაში უდიდესი წვლილი შეაქვს რეგიონალური თეატრების საერთაშორისო ფესტივალს. სენაკელებისათვის საამაყოა ის ფაქტი, რომ რეგიონალური თეატრების მეექვსე საერთაშორისო ფესტივალი 1 სექტემბერს ჩვენი მუნიციპალიტეტის ულამაზეს ტერიტორიაზე ნოქალაქევის ციხე-ქალაქში, სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის სპექტაკლით „მთავრის მოტაცება“ გაიხსნა.

თეატრალური ხელოვნების დღესასწაულის გახსნას ესწრებოდნენ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის მინისტრი მიხეილ ჩხენკელი, რეგიონალური თეატრების ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელი ნინელი ჭანკვეტაძე, სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებელი მალხაზ თორია, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი, აფხაზეთის მთავრობის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, რეგიონის თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელები, მსახიობები, რეგიონალური, ცენტრალური, ადგილობრივი ტელევიზიებისა და ბეჭდური მედიის ჟურნალისტები.

სპექტაკლის დაწყებამდე ადგილობრივ მედიასთან საუბარში თავიანთი აზრი დააფიქსირეს ფესტივალში მონაწილე თეატრების ხელმძღვანელებმა, მსახიობებმა, ხელისუფლების და საზოგადოების წარმომადგენლებმა.

ნინელი ჭანკვეტაძე -- მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრის მსახიობი, რეგიონალური თეატრების ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელი- „სენაკში პირველად არ ვარ, ძალიან მიყვარს აქაურობა. ზოგადად ჩემი სისუსტეა რეგიონის თეატრები. სწორედ ამიტომ უკვე მეექვსე წელია ტარდება თეატრალური ფესტივალი. მიხარია, რომ წელს პირველად სენაკიც შემოგვიერთდა. ფესტივალის ორგანიზებაში ძალიან დაგვეხმარა სენაკის აკაკი ხორავას სახელობის თეატრის ხელმძღვანელი და სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ბატონი ლევან კუპრეიშვილი, აგრეთვე მერიის კულტურის სამსახური. მინდა ყველას უღრმესი მადლობა გადავუხადო.

ახლა, რაც შეეხება თეატრალურ ფესტივალს. უკვე მეექვსე წელია კულტურის სამინისტო გვიფინანსებს ამ მეტად მნიშვნელოვან ღონისძიებას. წელსაც მიუხედავად ქვეყანაში არსებული მძიმე მდგომარეობისა, არ მომხდარა წყვეტა და ფესტივალი განახლდა. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ეს არის კულტურის სამინისტროსა და იმ ადამიანების დამსახურება, რომლებიც უკვე 6 წელია გვერდით გვიდგანან. მოგეხსენებათ ეს ფესტივალი დაფუძნდა ფოთში და არ შემიძლია არ ავღნიშნო ფოთის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის დიდი წვლილი.

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

ხელოვნების დღესასწაული სენაკში

(გაგრძელება)

ჩემი აზრით სიმბოლური დატვირთვა აქვს იმას, რომ ამ ისტორიულ ადგილას იმართება სპექტაკლის პრემიერა, კონსტანტინე გამსახურდიას რომანისა „მთავრის მოტაცება“, რომელსაც სოხუმის თეატრის მსახიობები წარმოგვიდგენენ გოჩა კაპანაძის რეჟისურით. საოცრად შთამბეჭდავი იყო, როდესაც გუშინ შუა რეპეტიციისას მთავრე ამოვიდა და ამ მთვარის შუქზე მიმდინარეობდა იგი. დამერწმუნეთ არაჩვეულებრივი საღამო გელით. თქვენ იქნებით პირველი მაყურებელი, ვინც ამას იხილავს”.

ლევან კუპრეიშვილი -სენაკის მუნიციპალიტეტის მერი - მოხარული ვარ, რომ რეგიონული თეატრების მეექვსე საერთაშორისო ფესტივალი სენაკში, კერძოდ ნოქალაქევის ისტორიულ ციხე-ქალაქში იხსნება.

სიმბოლურად ფესტივალის დაწყების წინ მოსწავლე ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის ისტორიულ შენობას, ცნობილი ქართველი მსახიობისა და საზოგადო მოღვაწის, საქართველოსა და აფხაზეთის სახლახო არტისტის ჩვენი ქვეყნის დიდი პატრიოტის – დიმა ჯაიანის სახელი მიენიჭა.

დარწმუნებული ვარ, რომ ფესტივალი მომავალ წლებშიც გაგრძელდება. ფესტივალი დასრულდება ხვალ საღამოს 10 საათზე.

ძალიან მახარებს ის ფაქტი რომ აკაკი ხორავას დრამატული თეატრი თეატრის წინ გამართავს წარმოდგენას. წელს სამწუხაროდ პანდემიამ შეგვიშალა ხელი და უცხოური თეატრები ვერ ღებულობენ მონაწილეობას ფესტივალში, მაგრამ იმედი გვაქვს მომავალ წელს ყველაფერი შეიცვლება და შევძლებთ ხელოვნების დღესასწაულის სრულყოფილად ჩატარებას.

დღეს ჩვენი ქვეყნის ერთიანობის სიმბოლოდ სახელდებული ციხე-გოჯის ქონგურები ღირსეულ მასპინძლობას გაუწევს სტუმრებს”.

სულხან გოგოლაშვილი -ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორი-,, აღფრთოვანებული ვარ სანახაობით, რომელიც ვიხილე. ბავშვობის შემდეგ აქ არ ვყოფილვარ. სასიამოვნოა, როცა ამდენი რამ არის გაკეთებული და აშენებული. ამავდროულად ძალიან ამაყი ვარ და დიდი შთაბეჭდილებებით მივდივარ. გადავწყვიტე, რომ აუცილებლად ჩამოვიყვანო ჩემი ოჯახი და ვაჩვენო ეს სილამაზე, რადგან მომავალმა თაობამ აუცილებლად უნდა იცოდეს და ნანახი ჰქონდეს თავის სამშობლოს უნიკალური ადგილები.

აქ ყოფნამ კარგი იდეებით დამტვირთა, მე და ქალბატონ ნინელის ერთი ძალიან კარგი იდეა დაგვებადა, რომელსაც ჯერჯერობით საიდუმლოდ დავტოვებთ, რადგან ამის განხორციელებაში ჩემი მეგობრის სენაკის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის ბატონი ირაკლი ადამიას დახმარება დაგვჭირდება. დიდი იმედი მაქვს ჩვენი ეს წამოწყება ბატონ ირაკლისაც მოეწონება და გვერდით დაგვიდგება.

წინასწარ ვგრძნობ, რომ დღეს ძალიან ლამაზი და სასიამოვნო საღამო გველის. ვისურვებდი მრავალი ასეთი საღამო ჰქონოდეს სრულიად საქართველოს”.

ირაკლი ადამია - სენაკის აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი -,,ჩვენთვის აკაკი ხორავას სახელობის დრამატული თეატრისთვის ფოთის ფესტივალის გამოჩენა ერთგვარად იყო განვითარების ახალი ეტაპის დასაწყისი. 2014 წლიდან ყოველწლიურად ვღებულობთ მონაწილეობას ამ ფესტივალში. წლევანდელი წელი კი განსაკუთრებულია იმ მხრივ, რომ უკვე სენაკი არქეოპოლისის ტერიტორიაზე, ამ უნიკლაურ ადგილას მასპინძლობს ფესტივალის სტუმრებს. ფესტივალი არის ორDდღიანი. ხვალ ქალაქში რამდენიმე ლოკაციაზე არის დაგეგმილი სხვადასხვა წარმოდგენები. იმედია სენაკელი მაყურებელი სწორად შეაფასებს ამ ჩანაფიქრს და სპექტაკლის შეფასებისას გამოავლენს კარგ გემოვნებას. მოგეხსენებათ წლევანდელი წელი ჩვენი თეატრისთვის საიუბილეოა, 125 წელი სრულდება მისი დაარსებიდან”. მინდა ყველა სენაკელს მივულოცო ეს თარიღი.

ჯაბა ჯაიანი - კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სოხუმის დრამატული თეატრის დირექტორი - ,,მინდა ასე დავიწყო: დიდი მადლობა ამ ქალაქს. მე ძალიან მიყვარს სენაკი და სენაკელები. აქ დაბადებულან ისეთი პატრიოტები როგორიცაა: ჟიული შარტავა, გურამ გაბისკირია, გენო ადამია და სხვები. მათ სულებს კი შეემატა კიდევ ერთი მამაჩემი, ჩემი ძმაკაცი და მეგობარი დიმა ჯაიანი.

მადლობა მინდა გადავუხადო სენაკის მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ ლევან კუპრეიშვილს და მის მოადგილეს ბატონ კახა კუპრეიშვილს. კახა ჩემი მეგობარია, სტუდენტობიდან ერთად მოვდივართ. შეიძლება ითქვას, რომ ხელმძღვანელებს ძალ-ღონე არ დაუშურებია, რათა დღევანდელი საღამო იყოს განსხვავებული და გამორჩეული.

ერთი თვეა რაც დავინიშნე კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სოხუმის დრამატული თეატრის დირექტორად. ძალიან მიხარია, რომ ფაქტრობრივად დავუბრუნდი დიმას კერას. ეს ჩემთვის დიდი პატივია.

რაც შეეხება დღევანდელ სპექტაკლს, ძალიან საინტერესო სანახაობა გელით. კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცებას“ წარმოგიდგენთ რეჟისორი ბატონი გოჩა კაპანაძე”.

გოჩა კაპანაძე - რეჟისორი - ,,თავდაპირველად მინდა დავიწყო იმით, რომ სპექტაკლი მიეძღვნა საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსხურდიას იუბილეს. მე პირადად გამიზნულად მინდოდა ეს სპექტაკლი სამეგრელოში გვეთამაშა. გარდა ამისა იყო მეორე ლოკაციაც, კონსტანტინე გამსახურდიას სახლ-მუზეუმი, სოფელ ძველ აბაშაში. ამჟამად მიმდინარეობს სახლ-მუზეუმის რესტავრაცია, ამიტომაც სპექტაკლის გამართვა დროებით გადაიდო.

დღევანდელი საღამო წინასწარ ვგრძნობ, რომ შესანიშნავი და შთამბეჭდავი იქნება. საკმაოდ მიახლოებული და სიმბოლურია ამ გენიალური ნაწარმოების თამაში კოლხურ მიწაზე და ამ შესანიშნავ ისტორიულ ადგილას. ვინაიდან ვიცი, რომ ჩვენი მაყურებელი საკმაოდ მკაცრია შეფასებებში, წინასწარ ვთხოვ, რომ იყვნენ მიმტევებლები. რადგან ნაწარმოები არის ურთულესი, 700 გვერდიანი. დღეს ქვეყანაში არსებული რეგულაციების გამო კი ვართ ძალიან მკაცრად შეზღუდული დროში. ამიტომ სპექტაკლი არის საათნახევრიანი. ძალიან ვეცადეთ, რომ გაგვევლო ოქროს შუალედში. მე მგონი შევძელით კიდეც. იმედი მაქვს მოგეწონებათ და ისიამოვნებთ დღევანდელი სპექტაკლით”.

მაყურებელმა და მოწვეულმა სტუმრებმა ღია ცის ქვეშ განთავსებულ სკამებზე დაიკავეს ადგილები. დამსწრეთ შესაძლებლობა მიეცათ გაცნობოდნენ ფერადი ბეჭდვით შესრულებულ საინფორმაციო ბუკლეტს, რომელიც შეიცავდა საინტერესო მასალას სპექტაკლებზე და რეგიონალური ფესტივალის დაფუძნების ისტორიაზე.

ბინდისფერი შეეპარა ციხე-ქალაქის ქონგურებს. ქართული სიტყვის დიდოსტატის კონსტანტინე გამსახურდიას ხმის ჩანაწერით დაიწყო სპექტაკლი, მგრგვინავი „ერგეაშვა“ ურუანტელის მომგვრელმა „ვაჰრადამ“ შეცვალა. ოქუმიდან ზუგდიდის მიმავალი კაც ზვამბაიას და არზაყანის დიალოგში გამოჩნდა ეპოქისა და გმირების ჭიდილი...

და რიგრიგობით გაცოცხლდნენ მაყურებლის თვალწინ თარაშ ემხუარი, თამარ შერვაშიძე, ლუკაია ლაბახუა, ლომკაც ესვანჯია, ტარიელ შერვაშიძე, გვანჯ აფაქიძე...

სპექტაკლში ნათლად გამოჩნდა ნაწარმოების მთავარი იდეა --- როგორ სპობს კულტურას და ეროვნულ შეგნებას მოზეიმე ბარბაროსული ძალა – კომუნისტური იდეოლოგია. ცივილიზაციით დაქანცული თარაში წარსულისკენ, წმინდა და ძლიერ ძირებთან იხევს, თამარს არ მოსწონს „გარდასულ დღეთა რომანტიკა“ და სურს ეზიაროს თანამედროვე ცხოვრებას.... როგორც ნაწარმოებში ასევე სპექტაკლში დამარცხდა „ელინური მზის მოტრფიალე“ თარაში -- გაიმარჯვა არზაყან ზვამბაიამ -- ბოლშევიკის სიმბოლურმა და კრებადმა სახემ....

ამაღელვებელი იყო სპექტაკლის ფინალი, ვნახეთ როგორ მოიტაცა ენგურმა მთავრე, როგორ გამოაცალა ცხენი ქანცმილეულ მხედარს და გააქანა შავი ზღვისკენ...

2 სექტემბერს სენაკის საზოგადოებას შესაძლებლობა ჰქონდა გაცნობოდა ბათუმის მოზარდმაყურებელთა თეატრის, ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის თეატრის და სენაკის აკაკი ხორავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის კოლექტივების შემოქმედებას. ეს დღე სენაკში თოჯინურ სპექტაკლებს მიეძღვნა.

სპექტაკლების დაწყებამდე, ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელმა, ნინელი ჭანკვეტაძემ, ტრადიციად ქცეულ ამ დღეს, განსაკუთრებული სიკეთითა და სითბოთი გამორჩეული, ნორჩი მაყურებლებისადმი მიძღვნილი დღე უწოდა.

მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის ამფითეატრი, ბათუმის მოზარდმაყურებელთა სახელმწიფო პროფესიული თეატრის სპექტაკლს ,,ყველა თაგუნას უყვარს ყველი'' დაეთმო. საბავშვო სპექტაკლი, რომელიც გელა გელაძის რეჟისორობით არის დადგმული, სიკეთის, სიყვარულისა და ერთიანობის აუცილებლობის თემებს წევს წინ და რუხი და თეთრი თაგუნების შერიგებით, პატარების განსაკუთრებულ მოწონებას იმსახურებს.

სენაკის ცენტრალურ სკვერში, გიორგი ლეონიძის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით შექმნილი სპექტაკლი ,,მარიტა'', ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრის მიერ იქნა წარმოდგენილი (რეჟისორი – ელენე მაცხონაშვილი).

მარიტას და გედიას სიყვარულის ტრაგიკული ისტორია და მასთან დაპირისპირებული დოგმებით მოაზროვნე საზოგადოების მიერ გაუაზრებლად, უმოწყალოდ გათელვა იმისა, რაც სიცოცხლის არსი, ჭეშმარიტი და მშვენიერია, ნებისმიერი ასაკის მაყურებლისთვის, ერთნაირად ამაღელვებელი და სევდის მომგვრელი გახლდათ.

22 საათზე სენაკის აკაკი ხორავას სახელობის პროფესიული დრამატული თეატრის დასმა ღია ცის ქვეშ მაყურებელს უჩვენა პრემიერა „წარსული – ჩემი პროლოგია“

სპექტაკლში თოჯინური და ცოცხალი პლანის სინთეზი იყო. თოჯინების და ექვსი მსახიობის საშუალებით მაყურებელს მოუთხრეს აკაკი ხორავასა ტრაგიკული ცხოვრება და ტრიუმფალური შემოქმედებითი გზა. მონაწილეობდნენ თამუნა აბშილავა, ლევან ესებუა, ლალი გაბელია, ზურაბ ზურაბაშვილი, თამარ კვიციანი, ზვიად ზურაბაშვილი.

ინსცენირების ავტორი და რეჟისორი ელენე მაცხონაშვილი, თოჯინების მხატვარი ვ. ქორიძე, სამხატვრო ხელმძღვანელი ირაკლი ადამია, დირექტორი მამუკა ბარქაია.

სპექტაკლის დასასრულს ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელმა ნინელი ჭანკვეტაძემ მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის მერს, კულტურის სამსახურს, სპექტაკლის ორგანიზატორებს.

სენაკის მუნიციპალიტეის მერმა ლევან კუპრეიშვილმა აღნიშნა, რომ თეატრალური ტრადიციებით გამორჩეულმა კუთხემ, ქალაქმა ამ ულამაზესი დღეებით დაამტკიცა, რომ საზოგადოება და ხელისუფლება პასუხისმგებლობით ეკიდება ხელოვნებას.

მართლაც, რომ განუზომელია თეატრის როლი მოზარდი თაობის ინტელექტუალურად აღზრდის საქმეში, ახალგაზრდებს და ზრდასრულ ადამიანებს იგი აძლევს სულიერ საზრდოს, უყალიბებს გემოვნებას, ზრდის ინტერესებს.

გაზეთ „კოლხეთის“ რედაქცია ფესტივალის ორგანიზატორებს, მსახიობებს, შემოქმედებით ჯგუფებს ულოცავს ამ ღირსსახსოვარ მოვლენას, ხელოვანებს უსურვებს პროფესიულ წინსვლას.

მედეა ბაღათურია,
მარიკა მიქაბერიძე

გვასახელეს

დამთავრდა ეროვნული გამოცდები. ათასობით ახალგაზრდამ გამოავლინა საკუთარი შესაძლებლობები, დამსახურებულად მოპოვა დაფინანსება და გახდა საოცნებო უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი.

ჩვენი სტუმრები არიან ახალგაზრდები, რომლებმაც გვასახელეს, წარმატებით ჩააბარეს ეროვნული გამოცდები და ჩაირიცხნენ ქვეყნის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში. ისინი დაეუფლებიან მათთვის საინტერესო პროფესიას, იცხოვრებენ სტუდენტური ცხოვრებით, ქვეყნებს მოივლიან კიდით კიდემდე, აითვისებენ მეცნიერების საფუძვლებს, განიმტკიცებენ ცოდნას, შეიძენენ გამოცდილებას... ხვალ კი უკვე პროფესიონალებად საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოვლენ და ქვეყნის განვითარების ფერხულში ჩაებმებიან.

ვულოცავთ ჩვენს სასიქადულო ახალგაზრდებს მოპოვებულ წარმატებებს! ჩვენ ვამაყობთ მათი მიღწევებით.

ანა ფაცია - №7 საჯარო სკოლა, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საჯარო ადმინისტრირებისა და სახელმწიფო მმართველობის - 100% გრანტი.

ლიზა ეჯიბია „მარიოტა", თავისუფალი უნივერსიტეტი - ბიზნეს ადმინიტრირება - 70 % გრანტი

მაია ქობალია №7 საჯარო სკოლა, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამართლის ფაკულტეტი 70 % გრანტი

ალექსანდრე შურღაია - „მარიოტა" - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, დიპლომირებული მედიკოსის ფაკულტეტი -70 % გრანტი

გვანცა ლომია - ჟიული შარტავას სახელობის № 2 საჯარო სკოლა, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბიზნეს ადმინიტრირება - 70 % გრანტი

დიანა კაკაშვილი - - №7 საჯარო სკოლა, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი - 50 % გრანტი

ლილი გვარამია №1 საჯარო სკოლა -თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი – ფაკულტეტი საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტი - 70 % გრანტი

დაკო კუპრეიშვილი „მარიოტა" თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი -საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მენეჯმენტის ფაკულტეტი - 50 % გრანტი

ანა მამულია - ჟიული შარტავას სახელობის № 2 საჯარო სკოლა, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამართლის ფაკულტეტი - 50 % გრანტი

ანა ჩიქოვანი -ჟიული შარტავას სახელობის № 2 საჯარო სკოლა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი -დიპლომირებული მედიკოსის ფაკულტეტი -70 % გრანტი

ალექსანდრე ჩიქოვანი - ჟიული შარტავას სახელობის № 2 საჯარო სკოლა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი -დიპლომირებული მედიკოსის ფაკულტეტი -70 % გრანტი

ლიზა ხასაია - ძველი სენაკის საჯარო სკოლა -თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ინგლისური ფილოლოგიის ფაკულტეტი -50 % გრანტი

გოგა ხასაია - ძველი სენაკის საჯარო სკოლა -თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი - 50 % გრანტი



დემნა ჩიტაია - ჟიული შარტავას სახელობის № 2 საჯარო სკოლა, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მედიცინის ფაკულტეტი -50 % გრანტი

გვერდი მოამზადა
მ. გერგაიამ

რეზო ჯანჯღავა

„ᲙᲝᲚᲮᲔᲗᲘᲡ“ 85 წლის იუბილე, 2008 წ.

მშენებელის დღე რედაქციაში, 1984 წ.

შეხვედრა ინტელიგენციასთან

გარდაიცვალა რეგიონის ჟურნალისტიკის თვალსაჩინო წარმომადგენელი, მშობლიური ქალაქისა და კუთხის აღმშენებლობაში უდიდესი წვლილის შემტანი, ჟურნალისტთა თაობების აღმზრდელი, სენაკის საპატიო მოქალაქე, საზოგადოება „სენაკელის“ დამფუძნებელი ბატონი რეზო ჯანჯღავა.

გაზეთ „კოლხეთის“ რედაქცია იყო ადგილი, სადაც რეზო ჯანჯღავა სამუშაო დღის უმეტეს ნაწილს ატარებდა, ხშირად ღამის საათებშიც. „კოლხეთის“ რედაქცია ადმინისტრაციული შენობის მეორე სართულზე იყო განთავსებული. გაზეთი იბეჭდებოდა ოფსეტური დაზგა-დანადგარებით აღჭურვილ სენაკის სტამბაში. რედაქტორი გულმოდგინედ ჩაჰკირკიტებდა ყოველ გვერდს, ყოველ საგაზეთო სტატიას. პასუხისმგებელი მორიგის და კორექტორის გასწორებულ ვარიანტში ხშირად აღმოაჩენდა სტილისტურ შეუსაბამობას, ორთოგრაფიულ და პუნქტუაციურ შეცდომას. მანამ არ დაკეტავდა სამუშაო ოთახს, სანამ უკვე დაბეჭდილი გაზეთის პირველ ეგზემპლარს კიდევ ერთხელ არ დაათვალიერებდა.

გაზეთის გამოსვლიდან მეორე დღეს სარედაქციო თათბირი ინიშნებოდა, მთელი თვის მასალა იგეგმებოდა. „ყოველ ჟურნალისტს საქაღალდეში 10-10 მასალა მაინც უნდა გქონდეთო“ -- იტყოდა ხოლმე.

რეზო ჯანჯღავა თავის ერთ-ერთ მოგონებაში წერდა:

„დღევანდელი გადასახედიდან მიმაჩნია, რომ ჩემი ცხოვრების განვლილი პერიპეტიებიდან ყველაზე საინტერესო დღეები რედაქტორად მუშაობის წლები იყო. ყოველდღიური დაძაბული შრომა, უდიდესი პასუხისმგებლობა, ცხოვრებისეული რეალობის გათვალისწინება, გატეხილი ღამეები, მაგრამ ყველაფერი ეს გავიწყდება, როდესაც დილით იხილავ შენი და მთელი კოლექტივის ნახელავს – ახალ გაზეთს. ვისაც რედაქციაში უმუშავია, სტამბის საღებავების სუნი უყნოსია, დამეთანხმება გაზეთის ახალი ნომრის დაბადება ღირს ყველაფერ იმად, რაც გადაიტანე, რაც ინერვიულე და იშრომე!...“

ინტელექტუალური შრომისა და ცხოვრების დიდი გამოცდილება ამშვენებდა მის ნათელ ბიოგრაფიას.

დაიბადა 1938 წელს. წარჩინებით დაამთავრა სენაკის №1 საშუალო სკოლა. შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი.

1962-65 წლებში მუშაობდა ყოფილი კომკავშირის რაიკომის ინსტრუქტორად, პოლიტგანათლების და აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგედ. 1966-70 წლებში დაინიშნა აბაშის რაიონული გაზეთის „განახლებული აბაშის“ რედაქტორის მოადგილედ, საიდანაც სენაკის რაიონული გაზეთის „კოლხეთის“ რედაქტორად გადაიყვანეს.

მისი რედაქტორობის წლებში „კოლხეთში“ იბეჭდებოდა კრიტიკული კორესპონდენციები, საინტერესო სტატიები რაიონის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაზე, სამშენებლო, სამრეწველო ორგანიზაციების საქმიანობაზე, კულტურის, ხელოვნების სიახლეებზე. კარგი ხელმძღვანელი იყო. ტაქტიანი, მოზომილი, თანამშრომელთა ჭირისა და ლხინის გამზიარებელი.

რეზო ჯანჯღავა იყო, საქართველოს ჟურნალიტთა კავშირის გამგეობის და ყოფილი სსრკ ჟურნალისტთა კავშირის წევრი. ყოფილი პარტიის რაიკომის ბიუროს და რაისაბჭოს აღმასკომის წევრი არაერთხელ იქნა არჩეული რაიონული საბჭოს აღმასკომის დეპუტატად. 1983 წელს რეზო ჯანჯღავა პარტიის რაიკომის მეორე მდივნად გადაიყვანეს. სამი წელი იმუშავა ამ თანამდებობაზე.

საქართველოში ხელისუფლების ცვლილების შემდეგ მუშაობდა სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობაზე. იყო სენაკის რაიონის გამგებლის მოადგილე, სენაკის საკრებულოს მდივანი, ალ. კუჭუხიძის სახელობის საინჟინრო-ეკონომიური ინსტიტუტის დეკანი, პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს სპეციალისტი.

სიცოცხლის ბოლო წლებში ჟიული შარტავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მუშაობდა. იყო არაერთი საინტერესო და მრავალფეროვანი ღონისძიების ინიციატორი. უყვარდა სენაკი, სენაკელები. ღირსეული ცხოვრების მაგალითს აძლევდა თაობებს საზოგადოება “სენაკელის“ თავმჯდომარედ მუშაობის წლებში.

ცხოვრებამ წარმატებასთან ერთად მრავალი ტკივილი განაცდევინა. ჯერ მეუღლე, უსათნოესი და უკეთილშობილესი ქალბატონი ელენე ადამია გარდაიცვალა. შემდეგ შვილი ლევან ჯანჯღავა. ლევანი -- პროფესიით ჟურნალისტი, დაჯილდოებული იყო შემოქმედებითი ნიჭით. გამოსცა ლექსების ორი კრებული, სადაც თავმოყრილია როგორც ქართული ასევე, რუსულენოვანი ლექსები.

რეზო ჯანჯღავა იმ ადამიანებს განეკუთვნებოდა, რომლებიც დიდ მოქალაქეობრივ და პროფესიულ ტვირთს ატარებენ, სიკვდილის შემდეგ კი თაობებს ვალმოხდილი კაცის სახელს უტოვებენ.

ბატონი რეზო ჯანჯღავას ხსოვნა ყოველთვის დარჩება „კოლხეთელთა“ გულში. ქალიშვილს თამთა ჯანჯღავას მუდამ საამაყოდ ექნება მამის მიერ სახელოვნად განვლილი ცხოვრება.

მსუბუქი იყოს რევაზ ჯანჯღავას გულზე დაყრილი მიწა.

გაზეთ „კოლხეთის“
რედაქცია

მინდა ღრმა მწუხარება გამოვთქვა სენაკის საპატიო მოქალაქის, დამსახურებული ჟურნალისტისა და მოღვაწის ბატონი რეზო ჯანჯღავას გარდაცვალების გამო.

ბატონი რეზო, მთელი თავისი ცხოვრებითა და მოღვაწეობით, ემსახურებოდა სენაკს, მის კეთილდღეობას. წლების განმავლობაში იყო გაზეთ „კოლხეთის" რედაქტორი, მუშაობდა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე, იყო სენაკის ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენელი. ვუთანაგრძნობ ბატონი რეზოს ოჯახსა და ახლობლებს.

მინდა აღვნიშნო, რომ ასეთი ადამიანები მარადიულად რჩებიან სენაკელთა ხსოვნაში, ისინი დაუვიწყარი არიან და ჩვენი ქალაქის ისტორიის განუყოფელი ნაწილი ხდებიან.

ლევან კუპრეიშვილი,
სენაკის მუნიციპალიტეტის მერი

ცისანა შარტავა, ლია ჯალაღონია და ნინუცა ალასანია ოჯახებით ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ მეგობრის, ღირსეული მოქალაქისა და გამორჩეული სენაკელის

რევაზ ჯანჯღავას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.
უფალს ებარებოდეს მისი უკვდავი სული.

სენაკის ჟიული შარტავასა და მისივე სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლები დიდ მწუხარებას გამოხატავენ

რევაზ ჯანჯღავას

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.
ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს მის სულს.

„კოლხეთელები“ ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ გაზეთის ყოფილი რედაქტორის, დამსახურებული ჟურნალისტის და სენაკელთა უდიდესი ქომაგის ბატონ

რევაზ ჯანჯღავას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს საქართველოს პარლამენტის არჩევნების მიმდინარე წლის 31 ოქტომბერში დანიშვნასთან დაკავშირებით „საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის „მედიის მიერ წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების ზოგადი რეგულაციების" შესაბამისად მედიისათვის განსაზღვრული ვალდებულებით, რაც საზოგადოების არჩევნების შესახებ ობიექტური ინფორმაციის მიწოდებას და არჩევნებში მონაწილე პარტიებისა და დეპუტატობის კანდიდატთა თანაბარი პირობების შექმნას უკავშირდება, გაზეთ „კოლხეთში" წინა საარჩევნო აგიტაციისა და რეკლამებისთვის გამოიყო მიმდინარე წლის სექტემბრისა და ოქტომბრის თვის ნომრებში (№ 18-19-20) (პერიოდულობა 16-30 სექტემბერი; 1-15 ოქტომბერი, 16-31 ოქტომბერი) ორი-ორი გვერდი, დაწესდა ყველა საარჩევნო სუბიექტისათვის თანაბარი ფასიანი(1 სამაკეტო უჯრა) და უფასო ფართი. მოცულობა -გამოყოფილი 1 ერთი გვერდის მესამედი თითოეული დეპუტატობის კანდიდატისა და პარტიებისთვის.

არჩევნებში მონაწილე სუბიექტებმა მოგვმართონ შემდეგ მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. №103, ტელ: 0413 27 61 50

გაზეთი „კოლხეთი"

სარედაქციო ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲐ
მთავარი რედაქტორი ნინო სართანია
რედაქტორი მედეა ბაღათურია
ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ: მაია გერგაია, მარიკა მიქაბერიძე
ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი ᲔᲚᲘᲔᲢᲐ ᲩᲐᲩᲘᲑᲐᲘᲐ

რედაქციის მისამართი:
სენაკი, ჭავჭავაძის ქ. №103, ტელ: 276150
რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.
ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში
რეგისტრაციის №56/7-17
გაზეთი კომპიუტერზე აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა შპს „ᲮᲝᲚᲘ ᲔᲜ“
ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33
ტელ: 223779,223711, 223499